

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმიN48

ქ.თბილისი

20 დეკემბერი, 2024წელი  
15<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოსწევრები:

ლევან აბაშიძე	ნათია მოდეზაძე
ლევან არველაძე	შალვა ოგბაიძე
მარიამ გელაშვილი	ვიტალი ონიანი
ოთარ გრიგოლია	გურამ ოქროპირიძე
ლევან დავითაშვილი	ნინო რუხაძე
ნინო ვარდოსანიძე	რევაზ სოხაძე
კონსტანტინე ზარნაძე	თამარ ჩახვაშვილი
მარიამ ზაქარიაშვილი	ზურაბ ჩიკვილაძე
ანა კაკაბაძე	გივი ჩხარტიშვილი
მიხეილ კაკაურიძე	ავთანდილ ცინცაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ანა კილაძე	ლევან ჯაფარიძე
კახაბერ ლაბუჩიძე	

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე დევი ვეფხვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ნინო ბაგაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი სერგო ბირკაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ოთარ გრიგოლიამ საკრებულოს ახალ წევრებს მარიამ გელაშვილს და ვიტალი ონიანს მიულოცა საკრებულოს წევრობა, წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, მათი საქმიანობა იქნება პროდუქტიული ქალაქისთვის და ქვეყნისთვის. აღნიშნა, რომ საკრებულოს მიმდინარე სხდომას არ ესწრება ოპოზიცია, რაც, მისი თქმით, არის იმის გამოძახილი, რომ პოლიტიკური ძალები ცდილობდნენ გადატრიალების მოწყობას ქვეყანაში, თუმცა, მათი მცდელობა ჩავარდა. ისინი, გარდა ქუჩისა, დესტრუქციას უწყობენ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, რომელმაც საკმაოდ კონსტრუქციული წინადადება ჩამოიტანა საქართველოში და აწარმოებს მოლაპარაკებებს. რადიკალური ოპოზიციის დიდი ნაწილი გაემიჯნა ამ მოლაპარაკებებს და ევროპული სტრუქტურების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ინსტიტუტს. მისი თქმით, ყველა კარგად ვხედავთ, როგორია მათი განწყობა - მათთვის დემოკრატია და ევროპა კარგია მაშინ, როდესაც მუშაობს მათ სასარგებლოდ, ხოლო როდესაც დემოკრატია და ევროპა საუბრობს სამართლიანობაზე, მიუღებელია. აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც დღეს პოლიტიკის მიღმაა, უნდა დაუბრუნდეს თავის საქმიანობას პარლამენტსა და საკრებულოში და „ამ მასკარადს ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო ჩვენს ქვეყანაში“.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს საკრებულოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პარკირების საშვის შეზღუდვას, რაც, მისი თქმით, არის „უზნეო განცხადება“ იმ თვალსაზრისით, რომ 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის არაფერი იცვლება საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებით და რჩება იგივე რეგულაციები, რაც იყო აქამდე. ხოლო ის, რაც იცვლება 18 წელს ზევით ასაკისთვის, არის არა საკრებულოს, არამედ, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება, რომელსაც საფუძვლად დაედო სახალხო დამცველის მიმართვა, რომ საშვები, რომელსაც განსაზღვრავს ჯანდაცვის სამინისტრო, უნდა გაიცემოდეს არა სტატუსის თანაბრობის მიხედვით, არამედ, განსაკუთრებული საჭიროების მიხედვით.

ვიქტორ ონიანმა განაცხადა, რომ მისთვის დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობა უდიდესი პატივი და ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და მოხარულია, რომ შეუერთდა VII მოწვევის საკრებულოს მუშაობას. აქვე განაცხადა, რომ სურს, თბილისის საკრებულოსა და მერიის მიმართ გამოხატოს მადლიერება ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებისთვის და წარმატებები უსურვა „ქართული ოცნების“ გუნდს.

მარიამ გელაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივია წარმომადგენდეს თბილისელებს საკრებულოში „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად, რომელმაც ამ წლების მანძილზე ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე გააკეთა დედაქალაქისთვის. მისი თქმით, წინ ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევაა და მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს თბილისის განვითარებაში.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ იმ მოვლენების შემდეგ, როდესაც ქართულმა საზოგადოებამ და მთელმა მსოფლიომ იხილა ძალადობა რუსთაველის გამზირზე, ფიქრობდა, რომ უმრავლესობის მხრიდან, „ფორმალურად მაინც“, იქნებოდა დაგმობილი ეს ფაქტი, თუმცა, ამაზე საუბარიც კი არ არის, რის გამოც იმედგაცრუებულია, რადგან თბილისის საკრებულო ზუსტად ის ორგანოა, რომელიც განსაზღვრავს დედაქალაქის სახეს. მისი თქმით, სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა, რომ საკრებულოს შენობიდან რამდენიმე მეტრში „ე.წ. სამართალდამცავი პირების“ მიერ ხდება აქციის მონაწილეების ფიზიკური შეურაცხყოფა და საკრებულოს წევრებს არ აქვთ არანაირი რეაქცია. აქვე აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრმა

ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ წყვეტს ევროინტეგრაციას, რაც, მისი თქმით, კონსტიტუციის ქმედების შეჩერებაა და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „ერთპარტიული მმართველობა რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ?.. მე გეთანხმებით, რომ მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვს... მე ვემიჯნები რადიკალურ ქმედებებს ნებისმიერი მხრიდან, მაგრამ, როდესაც თქვენ გაწყობთ, იმ შემთხვევაში, ევროსაბჭოს თუ ევროკავშირს აქვს ავტორიტეტი და როდესაც არ არის თქვენს ინტერესებში, ემიჯნებით, ქილიკობთ და შეურაცხყოფასაც კი აყენებთ ევროკავშირის და ევროსაბჭოს წარმომადგენლებს. გთხოვთ, დაფიქრდეთ, შეუძლებელია ასე გაგრძელდეს. ამ ქვეყანაში კონკრეტული მოლაპარაკება და შეხების წერტილები თუ არ ვეძიეთ ერთმანეთთან, შეუძლებელია ეს ყველაფერი ისე დასრულდეს, რომ კვალი არ დატოვოს და სამწუხაროდ, მოსალოდნელია ის, რასაც ჩვენ ვხედავთ - უკვე სახეზეა სამოქალაქო დაპირისპირების გარკვეული ფორმები... ცოტა დავფიქრდეთ... ცოტა რეალური შეფასებები და ეფექტური ქმედებები უნდა მოინდომოთ. პირველ რიგში, ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ის, რომ პროცესები ასე არ განვითარდეს და არ გავიდეს კონტროლიდან. სამწუხაროდ, ამას ვერაფერს ვისმენ თქვენგან, კოლეგებისგან, რომლებისგანაც მართლა ბევრს ველოდი დღეს, რომ გარკვეული დაგმობა იქნებოდა იმ ფაქტების, რასაც ვხედავთ რუსთაველის გამზირზე“.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა მიხეილ კაკაურიძეს, რომ მის მიერ ხსენებული მოვლენების შემდეგ, იყო საკრებულოს სხდომა, სადაც უმრავლესობის წევრებმა გააკეთეს განცხადებები და დააფიქსირეს თავიანთი მოსაზრებები. ხოლო რაც შეეხება ევროინტეგრაციის შეჩერებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, არის ტყუილი, რადგან არავის არაფერი შეუჩერებია და ისეთი გამოსვლები, როგორც დღეს ჰქონდა მიხეილ კაკაურიძეს, მოქმედებს ბევრი ახალგაზრდის ემოციაზე და საზოგადოების ნაწილს ჯერ კიდევ სჯერა მათი.

გივი ჩხარტიშვილმა მიმართა მიხეილ კაკაურიძეს: „შემთხვევით ხომ არ გეუხერხულებათ, რომ იმ საზოგადოების ნაწილი ხართ, რომელიც ქვეყანას ყიდის ყველგან და ყველა მიმართულებით?.. ხომ არ გეუხერხულებათ გამყიდველების გვერდით რომ დგახართ და დღეს მარტო ხართ წარმოდგენილი ამ დარბაზში? იმ თბილისელების ხომ არ გეუხერხულებათ, რომლებსაც თვალებში ვეღარ უყურებთ? რანაირად ექცევით ამ ქვეყანას და რა ნამუსით გამოდიხართ მერე და აქ ჰკუას გვარიგებთ თითოეულ ჩვენგანს?.. რაღაც ღირებული უნდა გქონდეთ. მე იმედს ვიტოვებ, რომ ოპოზიციაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც გამოიჩინენ გონიერებას და ამ არეულობას გადაიტანენ სამუშაო რეჟიმში. უპასუხისმგებლო ადამიანები ხართ, თქვენს საქმიანობას რამდენიმე თვეა ვუყურებთ და არანაირი პროცესის მონაწილეები არ ხართ, არაფერზე გული არ შეგტკივთ და გამოდიხართ და ჩვენ გვაბრალებთ რაღაცებს... ჩვენ გვეუბნებით რუსეთუმეები ხართო? 2012 წლის შემდეგ, ასოცირების ხელშეკრულება გავაფორმეთ, უვიზო მიმოსვლა გავაკეთეთ, კანდიდატის სტატუსი მივიღეთ. კიდევ ჩვენ ვართ რუსეთუმეები? თქვენ რა გააკეთეთ? ვის ემსახურებით? ჩააბარეთ ტერიტორიები და რა ნამუსით გველაპარაკებით, რომ გინდათ ქვეყნის წინსვლა და ევროკავშირში შესვლა? საქმიანობა აფასებს ყველაფერს. კარგად დაფიქრდით და ისე გააკეთეთ განცხადებები“.

გიორგი ტყემალაძემ ვიქტორ ონიანს და მარიამ გელაშვილს მიულოცა საკრებულოს წევრობა, წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, მათი საქმიანობა თბილისის საკრებულოში იქნება წარმატებული და მომავალში, ერთად, დედაქალაქისთვის ბევრ სასიკეთო და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებენ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

3. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოდების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ქეთევან კანდელაკიშვილი

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დევი ვეფხვაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M<sub>3</sub> კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M<sub>2</sub> კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე



9. „ქალაქ თბილისში, მიხეილ ბუხაიძის ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.046.015.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

10. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

11. „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N24ა-ში მდებარე N17 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.217.01.01.017) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N161 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.161) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

12. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N306 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.033.01.01.306), ქალაქ თბილისში, მეფე მირიანის ქ. N44-ში მდებარე N4 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.478.01.01.004) და ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N73 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

13. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N41 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.041), ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ვეფხისტყაოსანის ქ. N86-ში მდებარე N32 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.712.01.01.032) და ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

14. „ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N154 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.154) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. N35-ის მიმდებარედ N17 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.264.01.01.017) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

15. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალქსანდრე ყაზბეგის ქუჩა N1-ში არსებული 72.03 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.050.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

16. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

17. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.1307) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

18. „ქალაქ თბილისში, ნოდარ ჯანგირაშვილი ქუჩა N1ბ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.12.13.020.028.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

19. „ქალაქ თბილისში, ნადირა ხოშარაულის შესახვევი N10-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.281) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

20. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N109-ში არსებული 51.52 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.003.01.026) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის V ჩიხი, N5-ში არსებული 72.54 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.019.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

22. „ქალაქ თბილისში, მაზნიაშვილის ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.017.002.01.542) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

23. „ქ.თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იური კასრამისთვის (პ/ნ. 01801131713) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

24. „ქ.თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა N31-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.003.140) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით დეა ნარმანიასთვის (პ/ნ. 01010008769) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

25. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N37-ში მდებარე 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.001.032) პირდაპირი განკარგვის წესით ელგუჯა გუბელიძისთვის (პ/ნ. 01508066025) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

26. „ქალაქ თბილისში, გუმბრის ქ.N7-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.005.051) და ქალაქ თბილისში, ზაალ დუმბაძის ქ.N18-ის

მიმდებარედ არსებული 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.005.052) პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი დანელიასთვის (ს/ნ. 01024003726) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

27. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქ.N154-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. N01.12.12.009.009) პირდაპირი განკარგვის წესით მანანა კვიციანიასთვის (პ/ნ. 01024015011 იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

28. „ქ.თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N50-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.021) პირდაპირი განკარგვის წესით, ნატალია კამკამიძისთვის (პ/ნ. 01008007223) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

29. „ქალაქ თბილისში, დიდ დილომში, პეტრიწის ქუჩა N9გ-ში არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.117) პირდაპირი განკარგვის წესით, თინათინ ყიასაშვილისთვის (პ/ნ. 01025012899), ირაკლი ყიასაშვილისთვის (პ/ნ. 01025015850), სოფიო ყიასაშვილისთვის (პ/ნ. 01025017341) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

30. „ქალაქ თბილისში, რ.დავითაშვილის ქ.N73ა-ს მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.04.033.037) პირდაპირი განკარგვის წესით ნატალია დუნდუასთვის (პ/ნ. 61003010704) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

31. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ. 202161098) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ (ს/ნ. 204976302) შორის 2024 წლის 08 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 3000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.009.005) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს (ს/ნ. 204976302) შორის 2024 წლის 8 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

35. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.33.019.184) ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის“ (ს/კ. 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N306 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

36. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

37. „მისამართზე - ქ.თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N20/ლევ კაჩინსკის ქუჩა N2 (ს/კ. 01.17.13.041.016) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებულ პირთა ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის“ (ს/ნ. 454407721) მიმართ გაცემული მხარდაჭერი ღონისძიებების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

38. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხამის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55-ში (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების ფარგლებში დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

39. „მისამართზე - ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N16 (ს/კ: N01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ი.ბ.ა. „დიდგორი 2006“-ის (ს/ნ. 205137449) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

40. „მისამართზე - ქ.თბილისი, ბოჭორიშვილის ქ.37 „ა“-ში (ს/კ. N01.10.13.023.001) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში, ზოგიერთი ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

41. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი,



მოსკოვის გამზირის N9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.207, ფართობი - 2500 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

42. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გლდანის VI მიკრო/რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.016, ფართობი - 741 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

43. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა, N38/40-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.271, ფართობი - 6562 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

44. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანის N234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.015, ფართობი - 8194 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

45. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გაზაფხულის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.074, ფართობი - 3654 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

46. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

47. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

48. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ამაღლებას ქუჩა, N3ბ, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.98.029; N81.02.98.027; N81.02.99.522; N81.02.95.011; N81.02.98.133; N81.02.95.286) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

49. „ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.016.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

50. „ქ.თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N66-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი-3, ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 13/015); ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა, N146; N152ბ; N162; N152; N164; N152ე; N66; N152ა; N148; N158; N152გ; N152დ; N160; N156; N66დ; N154; N150-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.013.060; N01.19.36.013.015; N01.19.36.013.061; N01.19.36.013.056; N01.19.36.013.013; N01.19.36.013.059; N01.19.36.013.011; N01.19.36.013.045; N01.19.36.013.046; N01.19.36.013.006; N01.19.36.013.014; N01.19.36.013.037; N01.19.36.013.058; N01.19.36.013.012; N01.19.36.013.027; N01.19.36.013.053; N01.19.36.013.020; N01.19.36.013.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

51. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალას დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.13.020.056; N01.18.13.020.059) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

52. „ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, არსენას ქუჩა N10ა-ში; ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.007.062; N01.20.01.007.056; N01.20.01.007.086; N01.20.01.007.061; N01.20.01.007.043; N01.20.01.143.013-ის ნაწილი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

53. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.17.885; N72.16.20.171; N72.16.20.172; N72.16.17.884; N72.16.17.878) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

54. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა, N 19-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.909; N01.19.24.007.910; N01.19.24.007.916-ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

55. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, N74-ში; ქალაქი თბილისი, დასახლება ორხევი, მუხამის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.172; 01.19.17.002.108; 01.19.17.002.174) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

56. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N109 (ნაკვ. 7/7; 7/6) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.007.007; N01.18.09.007.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი

კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

57. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, გიორგი კვინიტაძის I შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.30.181; 81.02.30.185; 81.02.30.184; 81.02.93.160; 81.02.03.342; 81.02.03.341; 81.02.30.078; 81.02.30.003; 81.02.03.732; 81.02.94.027; 81.02.03.538; 81.02.03.716; 81.02.03.712; 81.02.03.720; 81.02.03.713; 81.02.03.307; 81.02.30.065; 81.02.30.063; 81.02.30.064; 81.02.30.054; 81.02.30.066; 81.02.30.067; 81.02.03.734; 81.02.30.073; 81.02.30.033; 81.02.03.445; 81.02.30.020; 81.02.30.019; 81.02.30.008; 81.02.94.074; 81.02.03.368; 81.02.30.075; 81.02.03.537; 81.02.03.777; 81.02.30.183; 81.02.03.643; 81.02.03.672; 81.02.30.002; 81.02.03.699; 81.02.03.308; 81.02.30.016; 81.02.03.706; 81.02.03.790; 81.02.03.444; 81.02.30.076; 81.02.30.010; 81.02.03.349; 81.02.98.434; 81.02.03.365; 81.02.98.437; 81.02.30.068; 81.02.30.069; 81.02.03.347; 81.02.93.070; 81.02.93.146; 81.02.94.588; 81.02.94.410; 81.02.03.573; 81.02.03.669; 81.02.03.408; 81.02.03.409; 81.02.30.087; 81.02.03.424; 81.02.03.332; 81.02.30.087; 81.02.30.088; 81.02.03.331; 81.02.00.416, 81.02.00.782; 81.02.03.819; 81.02.03.919; 81.02.03.420; 81.02.03.984; 81.02.98.941; 81.02.00.219; 81.02.30.109; 81.02.03.500; 81.02.30.041; 81.02.30.097; 81.02.30.102; 81.02.97.890; 81.02.03.459; 81.02.03.407; 01.81.02.392.072; 81.02.97.086; 01.81.02.277.001 (ნაწილი)) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

58. „ქალაქ თბილისში, სოფელ თბინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.58.031.043; N72.16.15.616) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

59. „ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, N22; N24; N24ა; N21; N21ა; N20; N19; N23; N25; ქალაქი თბილისი, ცირკის ქვედა სკვერი; ქალაქი თბილისი, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.15.03.002.024; N01.15.03.002.011; N01.15.03.001.001; N01.15.03.002.035; N01.15.03.002.033; N01.15.03.001.013; N01.15.03.002.032; N01.15.03.002.036; N01.15.03.002.001; N01.15.03.002.029; N01.15.03.002.023; N01.15.03.002.008) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

60. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მიხა ხელაშვილის ქუჩისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ჩიხისთვის, ზურგოვანის ტერიტორიაზე მდებარე ასი ათასი მოწამის ქუჩისთვის და მუხათგვერდის სასაფლაოსკენ მიმავალი გზისთვის საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

61. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან მდებარე სანაპიროს უსახელო მონაკვეთისთვის ასი ათასი მოწამის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

62. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ლევან ჩოხელის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლის გოგიტა კიკნაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

63. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეკინის შესახვევისთვის კინოსა და თეატრის მსახიობის ჯემალ ღაღანიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

64. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კვესეთში, ბეთანიის მონასტრის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ბეთანიის მონასტრის VII შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

65. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების II ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი უსახელო მონაკვეთისთვის მიხეილ გრიგორაშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

66. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩებისთვის ქართველი სამხედრო მფრინავის იზანი ცერცვაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

67. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, იაკობ ხვედელიანის ქუჩის მონაკვეთისთვის და იაკობ ხვედელიანის ჩიხისთვის პირველი ქართველი სამხედრო მფრინავის ნიკოლოზ მაყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

68. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას IV ქუჩისთვის, IV ჩიხისთვის და უსახელო ჩიხისთვის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავის ალბერტ ბალხამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

69. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტამახმელაში, გიორგი კვინიტაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გიორგი კვინიტაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

70. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ძმობის II ქუჩისთვის ძმობის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

71. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ზურაბ ბეგიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ექიმის ზურაბ ბეგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

72. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და შორაპნის II ქუჩისთვის წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე



73. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბოგდან ხმელნიცკის I ჩიხისთვის, მასთან არსებული უსახელო მონაკვეთისთვის და ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V ჩიხისთვის გენერალ-მაიორის ზაურ უჩადის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

74. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გიორგი ტერევერკოს ქუჩასთან არსებული ორი უსახელო გასასვლელისთვის გიორგი ტერევერკოს I და II გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

75. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, ნამდვების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ნამდვების II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

76. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან არსებული ჩიხებისა და შესახვევის სახელების დაწესების შესახებ“.

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

მომხრე - 26

თავიშ ეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოდგენილია ლევან არველაძის კანდიდატურა და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოდგენილია ავთანდილ ცინცაძის კანდიდატურა და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ რამდენიმე წლის წინ, მიღებული იქნა წესი, თუ სად უნდა განთავსდეს ზემოთ ხსენებული მასალა და ამასთანავე, როგორი ინფრასტრუქტურა უნდა იყოს მოწყობილი იმ ტერიტორიაზე, საიდანაც მოხდება მისი რეალიზება. ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების თხოვნით, რამდენჯერმე გადავადდა წესის ამოქმედების თარიღი და ამ შემთხვევაშიც, ბიზნესის თხოვნით, წარმოდგენილია კიდევ ერთხელ, ამჯერად უკანასკნელად, ვადის გაგრძელება 2026 წლის პირველ იანვრამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილმა და განმარტა, რომ შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ თბილისის ტერიტორიის ბალახებისგან და სარეველა მცენარეებისგან გაწმენდის პროცესში, ხელმძღვანელობს ზემოთ ხსენებული წესით, რომლის თანახმად, აკრძალულია ჰერბიციდების გამოყენება, რაც საკმაოდ ართულებს სამუშაო პროცესს. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, თბილისის ტერიტორიის სარეველა ბალახებისგან გათავისუფლების პროცესში, შპს „ეკოსერვის ჯგუფს“ მიეცემა შესაძლებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად, გამოიყენოს ჰერბიციდები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე დევი ვეფხვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების საფუძველზე, მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს ეძლევა უფლებამოსილება თბილისის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმო იურიდიულ პირებში და მათ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში განახორციელოს შიდა აუდიტორული შემოწმება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M<sub>3</sub> კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებები ეხება N327, N389, N310 და N309 მარშრუტებს, რომლებსაც შეეცვალათ მარშრუტი და ასევე, ზოგიერთ მარშრუტს დაემატა ავტობუსები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M<sub>2</sub> კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებები ეხება N422 მარშრუტს, რომელსაც დაემატა სამი ერთეული მოძრავი შემადგენლობა და N493 და N519 მარშრუტებს, რომლებსაც შეეცვალათ მარშრუტი, ვაზისუბანში განხორციელებული საგზაო მოძრაობის რეორგანიზაციის გამო.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/წ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საპატრიარქოსთვის რკინის მასალის გადაცემა, სიმბოლურ ფასად, საგურამოს წმინდა ილია მართლის სახელობის ეკლესიისთვის დროებითი ღობის მოსაწყობად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისში, მიხეილ ბუხაიძის ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.046.015.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 90 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1969 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 32 კვ.მ. და 35 კვ.მ. ფართების გადაცემა ორი პირისთვის, რომლებიც 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N24ა-ში მდებარე N17 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.217.01.01.017) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N161 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.161) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ქონების გადაცემას, მათ მიერ საკუთრებაში არსებული ქონების დათმობის სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია დაზარალებულების საკუთრებაში არსებული 69 კვ.მ. ფართის სანაცვლოდ, მათთვის 73 კვ.მ. და 48 კვ.მ. ფართების გადაცემა. აქვე აღნიშნა, რომ ქონებებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 2800 ლარს დაზარალებულების სასარგებლოდ, თუმცა, შეთანხმების თანახმად, მუნიციპალიტეტი არ იხდის ხსენებულ თანხას.

კონსტანტინე ზარნაძე დაინტერესდა, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულებისთვის ბინების გადაცემა ხდება თუ არა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბინაო ფონდიდან და როგორ ხდება უბნების შერჩევა.



სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ბინების გადაცემა ხდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბინაო ფონდიდან, ხოლო რაც შეეხება უბნებს, მათი შერჩევა ხდება ინდივიდუალური მოლაპარაკებების საფუძველზე.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ მონაცვლეობის დროს, მთავარია კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებები იყოს დაახლოებით ერთი და იმავე ღირებულების.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N306 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.033.01.01.306), ქალაქ თბილისში, მეფე მირიანის ქ. N44-ში მდებარე N4 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.478.01.01.004) და ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N73 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ქონების გადაცემას, მათ მიერ საკუთრებაში არსებული ქონების დათმობის სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია სამი ბინის გადაცემა ერთი პირისთვის, რომლის საკუთრებაშიც იყო 105 კვ.მ. ფართი. აქვე აღნიშნა, რომ ქონებებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 4400 ლარს დაზარალებულის სასარგებლოდ, თუმცა, შეთანხმების თანახმად, მუნიციპალიტეტი არ იხდის ხსენებულ თანხას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N41 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.041), ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ვეფხისტყაოსანის ქ. N86-ში მდებარე N32 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.712.01.01.032) და ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N1 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ქონების გადაცემას, მათ მიერ საკუთრებაში არსებული ქონების დათმობის სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია სამი ბინის გადაცემა ოთხი პირისთვის, რომლებიც საკუთრებაში ფლობდნენ 135 კვ.მ. ფართს. აქვე აღნიშნა, რომ ქონებებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 1500 ლარს დაზარალებულების სასარგებლოდ, თუმცა, შეთანხმების თანახმად, მუნიციპალიტეტი არ იხდის ხსენებულ თანხას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N154 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.154) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. N35-ის მიმდებარედ N17 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.264.01.01.017) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ქონების გადაცემას, მათ მიერ საკუთრებაში არსებული ქონების დათმობის სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ორი ბინის გადაცემა ერთი პირისთვის, რომლის საკუთრებაშიც იყო 87 კვ.მ. ფართი. აქვე აღნიშნა, რომ ქონებებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 3900 ლარს დაზარალებულის სასარგებლოდ, თუმცა, შეთანხმების თანახმად, მუნიციპალიტეტი არ იხდის ხსენებულ თანხას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალქსანდრე ყაზბეგის ქუჩა N1-ში არსებული 72.03 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.050.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 72 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1991 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 20 კვ.მ. და 14 კვ.მ. ფართების გადაცემა ორი პირისთვის, რომლებიც 2002 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.1307) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 12.41 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1997 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, ნოდარ ჯანგირაშვილი ქუჩა N1ბ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.12.13.020.028.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 22 კვ.მ.-ზე ცოტა მეტი ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, ნადირა ხოშარაულის შესახვევი N10-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.281) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 42 კვ.მ., 68 კვ.მ. და 77 კვ.მ. ფართების გადაცემა სამი პირისთვის, რომლებიც 1958 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N109-ში არსებული 51.52 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.003.01.026) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 51 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის V ჩიხი, N5-ში არსებული 72.54 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.019.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 72 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1994 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისში, მაზნიაშვილის ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.017.002.01.542) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 77 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2001 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქ.თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იური ვასრამისთვის (პ/ნ. 01801131713) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 2027 წლის 10 მარტამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 4800 ლარს.



საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

